



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით

11 თებერვალი, 2021 წელი  
თბილისი

ქ.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია  
მოსამართლე დიანა ფარქოსაძე**

**შუამდგომლობის ავტორი** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

**შუამდგომლობა** - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე დროებითი განჩინების მიღება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა დროებითი განჩინების მიღების თაობაზე და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2021 წლის 8 თებერვალს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა დროებითი განჩინების მიღება - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაევალოს 2021 წლის 15 თებერვლამდე შეიმუშავოს პანდემიის პირობებში ყველა ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სკოლებში უსაფრთხო დაბრუნებისა და განათლების საკლასო ოთახებში აღდგენის გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება ბავშვების და სკოლების საჭიროებებზე.

**შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს შემდეგ გარემოებებს:**

2021 წლის 04 თებერვალს საქართველოს პრემიერ მინისტრმა გააკეთა განცხადება (დანართი N1) 15 თებერვლიდან თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში სასწავლო პროცესის საკლასო ოთახში დაბრუნების შესახებ. ცნობილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, 2021 წლის 01 თებერვლიდან სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში განახლდა დასახელებული სამი ქალაქის გარდა ქვეყნის სხვა ქალაქებში. საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადების თანახმად, სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში გაგრძელების გადაწყვეტილება ეფუძნება ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლის 4 პროცენტამდე ჩამოსვლის ფაქტს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების „იზოლაციის და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის (შემდგომში – შრომის ინსპექციის სამსახური) უშუალოდ ან ამ წესის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული უწყებების დახმარებით განხორციელებული შემოწმების შედეგად სამუშაო ადგილებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე“.

საგანმანათლებლო სწავლების საკლასო ოთახში დაბრუნებისას, საჯარო და კერძო სკოლები ხელმძღვანელობენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 29 აგვისტოს N01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“<sup>34</sup> პუნქტით დამტკიცებული რეკომენდაციებით, რომელიც N37 დანართის სახით არის წარმოდგენილი, კერძოდ, „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“ (დანართი N37) მოიცავს ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებულ ზოგად რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

N37 დანართის სახით წარმოდგენილი რეკომენდაციების გარდა, განათლების სამინისტროს არ შეუძლებია რაიმე სახის სტრატეგია, გეგმა, ნაციონალური სტანდარტი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა კორონავირუსის პირობებში ყველა ბავშვის და განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების უსაფრთხო დაბრუნებას საკლასო ოთახებში. განათლების სამინისტრომ ამგვარი გეგმის გარეშე მისცა უფლება სკოლებს დაეწყოთ სასწავლო პროცესი მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ათასობით ბავშვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. შესაბამისად, 15 თებერვლამდე სწავლის დიდ ქალაქებში განახლებამდე, უკვე გვაქვს ბავშვის უფლებების დარღვევა.

რეკომენდაციები არის ხარვეზიანი, იგი არ უზრუნველყოფს ყველა ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჯანმრთელობის და სიცოცხლის, უსაფრთხოების და განათლების უფლების დაცვას; აგრეთვე, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს სხვა ბავშვებთან შედარებით და ქმნის საფრთხეს

მათი უფლებების კოლექტიურად დარღვევისათვის.

აღნიშნული რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის არასაკმარისია და არ ითვალისწინებს იმ აუცილებელ საკითხებს, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ World Vision Georgia-მ გამოაქვეყნა სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით (დანართი N4).

რეკომენდაციები, ასევე არ ახდენს სხვა ნიშნით რისკ-ჯგუფში მყოფი მოსწავლეებისთვის საგანგებო უსაფრთხოების ზომების მიღების უზრუნველყოფას (მაგ. იმგვარი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც არ გულისხმობს, რომ ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობისაა, თუმცა, იგი მაინც განეკუთვნება რისკ-ჯგუფს კორონავირუსით ინფიცირებასთან დაკავშირებით).

რეკომენდაციები არ ითვალისწინებს მასწავლებლების რაოდენობის გაზრდას, რათა შესაძლებელი იყოს შემცირებულ ჯგუფებში განათლების მიწოდება, ბავშვების მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე არ არის გათვალისწინებული და ბუნდოვანია, როგორ იქცევა სკოლა, როდესაც მასწავლებელს დაუდასტურდება კორონა ვირუსი და ვერ შეძლებს გაკვეთილების ჩატარებას.

რეკომენდაციები არაგანჭვრეტადს ხდის განათლების მიღების პროცესს სკოლაში ბავშვების დაბრუნების შემთხვევაში, ბავშვების მშობლებისთვის გაუგებარია, თუ რა შემთხვევაში შეწყდება ისევ სწავლა ამ კონკრეტულ სკოლაში, რა უნდა მოიმოქმედონ, რომ ბავშვებს აარიდონ ხელახალი სტრესი სწავლის კვლავ შეწყვეტის შემთხვევაში. ამგვარი ინფორმაციის არქონის პირობებში მშობლები ვერ იღებენ მოსწავლეების საუკეთესო ინტერესის მიხედვით გადაწყვეტილებას, დააბრუნონ თუ არა ბავშვები სასკოლო გარემოში, ვერ წონიან რისკს, რომელიც ახლავს ამ დაბრუნებას.

რეკომენდაციები არ განსაზღვრავს, თუ რამდენი ბავშვის ყოფნა შეიძლება ერთ სივრცეში და სკოლას აძლევს ამ კუთხით გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღების შესაძლებლობას, რაც არღვევს ბავშვების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უფლებებს. განათლების სამინისტროს უმოქმედობის გამო, ჯერაც არ არის შემუშავებული ეროვნული სტანდარტი ბავშვების რაოდენობაზე ცვლაში, ოთახში, სივრცეში, კონკრეტული მასწავლებლის მეთაურობაში და ა.შ.

რეკომენდაციები არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ მოსწავლეს არ გააჩნია დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი ტექნოლოგია და/ან ინტერნეტი, ზოგი მოსწავლე არის ჯანდაცვის მუშაკის შვილი და ამიტომ მათ არ შეუძლიათ სახლში დარჩენა, ზოგ მოსწავლეს არ გააჩნია სახლში სივრცე დისტანციური სწავლებაში მონაწილეობისთვის. აღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლობა თანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვადასხვა მოწყვლადობის მქონე მოსწავლეს.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ ერთის მხრივ, მითითებული

დადგენილება არ წარმოადგენს სრულფასოვან დოკუმენტს 2020 წლის 15 თებერვალს მოსწავლეების სკოლებში დაბრუნების დროს ბავშვების უსაფრთხოების და განათლების უფლების რეალიზაციის კუთხით და, მეორე მხრივ, განათლების სამინისტროს არ შეუმუშავებია რაიმე სახის ერთიანი ეროვნული დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებდა COVID-19-ის დროს სკოლების გახსნის შემთხვევაში მოსწავლეთა უსაფრთხოების, განათლების და სიცოცხლის დაცვის გარანტიებს.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, სკოლების მოუმზადებლობაზე 2021 წლის 15 თებერვალს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის უსაფრთხოდ გახსნასთან თაობაზე, ასევე მეტყველებს მოსარჩელე ორგანიზაციის მხრიდან 2020 წლის 30 დეკემბერს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი N1241902) პასუხად, 2021 წლის 28 იანვარს სამინისტროსგან მიღებული ოფიციალური პასუხიც (MES 621 0000038106) (დანართი 8). საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზანი იყო, პანდემიის პირველი და მეორე ტალღების დროს სამინისტროს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განათლების სამინისტრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, მთელი პერიოდის განმავლობაში ზრუნავდა მხოლოდ დისტანციური სწავლის გაუმჯობესების მიმართულებით და არ შეუმუშავებია არცერთი მარეგულირებელი დოკუმენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სკოლებში უსაფრთხო დაბრუნების თაობაზე პანდემიის პირობებში.

მითითებული გარემოებები მიუთითებს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ევალება 2020 წლის 15 თებერვალს საქართველოს დიდ ქალაქებში სკოლების გახსნამდე, ბავშვებს შეუქმნას უსაფრთხო დაბრუნების პირობები, შექმნას იმგვარი რეგულაციები, რომელიც დაიცავს ბავშვების სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლებას, უსაფრთხო განათლების მიღების პირობას ყველა ბავშვისთვის, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ამ სიტუაციაში.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, გეგმავს სარჩელის აღძვრას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინააღმდეგ, ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ COVID-19-ის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის უსაფრთხო საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფას, ხოლო სარჩელის აღძვრამდე მოითხოვს დროებითი განჩინების მიღებას, ვინაიდან არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები და საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებით კოლექტიურად დაირღვევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და განათლების მიღების უფლებები.

**სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნის თაობაზე და მიიჩნია, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღძვრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო. დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოდგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ სარჩელზე.

სასამართლო განმარტავს, რომ დროებითი განჩინება, ფაქტობრივად წარმოდგენს უფლების დაცვის დროებით ღონისძიებას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ნორმის შინაარსიდან ნათელია, რომ სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ამგვარი განჩინება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, როდესაც სარჩელის შეტანა თავისთავად არ იწვევს მოსარჩელის უფლების დაცვას და აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება პირის სამართლებრივი მდგომარეობის დასაცავად. ამასთან, ადმინისტრაციულ პროცესში მითითებული ნორმით დადგენილია სარჩელის აღძვრამდე სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობაც და აღნიშნულს გააჩნია პრევენციის დანიშნულება, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მოსალოდნელ საშიშროებას, რაც შეიძლება გამოიხატოს არსებული მდგომარეობის შეცვლაში ან განმცხადებლის უფლების რეალიზაციისათვის ხელის შეშლაში ან გართულებაში ან მიმართულია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისაკენ.

სასამართლოს განმარტებით, კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო საკითხს, გამოყენებული უნდა იქნეს თუ

არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, სასამართლო განსაზღვრავს იმ გარემოებებისა და მოსაზრებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რაც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, უზრუნველყოფის ღონისძიება მიიჩნიოს გამართლებულად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს წყვეტს სარჩელის განმხილველი სასამართლო თავისი შეხედულებისამებრ, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს „უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფის“ მიზანს და სასამართლოს (და არა მხოლოდ განმცხადებლის) დასაბუთებულ ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან შეუძლებლობის თაობაზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროა დადგინდეს, უფლების სასამართლო წესით დადასტურების შემთხვევაში, რამდენადაა პირი უზრუნველყოფილი აღდგეს ამ უფლებებში და რაც მთავარია, იგი არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ პრევენციული ღონისძიებების გამოყენებისაკენ, უნდა ჩნდებოდეს დასაბუთებული ვარაუდის შესაძლებლობა, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც განცხადებებშია აღნიშნული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სპეციალური მოსარჩელის სტატუსით აპირებს სარჩელის აღძვრას მოპასუხე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინააღმდეგ, ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ COVID-19-ის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის უსაფრთხო საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფას.

ამასთან, სარჩელის აღძვრამდე მოითხოვს დროებითი განჩინების მიღებას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაევალოს 2021 წლის 15 თებერვლამდე შეიმუშავოს პანდემიის პირობებში ყველა ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სკოლებში უსაფრთხო დაბრუნებისა და განათლების საკლასო ოთახებში აღდგენის გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება ბავშვებისა და სკოლების საჭიროებებზე, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით არის რეგულირებული.

განცხადებაში მითითებულია, რომ 2021 წლის 04 თებერვალს საქართველოს პრემიერ მინისტრმა გააკეთა განცხადება მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში სასწავლო პროცესის საკლასო ოთახში დაბრუნების შესახებ. ცნობილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, 2021 წლის 01 თებერვლიდან, სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში განახლდა დასახელებული სამი ქალაქის გარდა ქვეყნის სხვა ქალაქებში. საგანმანათლებლო სწავლების საკლასო ოთახში დაბრუნებისას, საჯარო და კერძო სკოლები ხელმძღვანელობენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 29 აგვისტოს N01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის

(COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დამტკიცებული რეკომენდაციებით - „ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“, რაც მოიცავს ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებულ ზოგად რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. შუამდგომლობის ავტორის მიაჩნია, რომ მითითებული რეკომენდაციები არ არის სრულფასოვანი დოკუმენტი 2021 წლის 15 თებერვალს მოსწავლეების სკოლებში დაბრუნების დროს ბავშვების უსაფრთხოების და განათლების უფლების რეალიზაციისათვის. ამასთან, განათლების სამინისტროს არ შეუძლებია რაიმე სახის ერთიანი ეროვნული დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებდა COVID-19-ის დროს სკოლების გახსნის შემთხვევაში მოსწავლეთა უსაფრთხოების, განათლების და სიცოცხლის დაცვის გარანტიებს.

სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლზე და განმარტავს, რომ კანონით გათვალისწინებული დროებითი განჩინების მიღება, როგორც წესი უნდა ემსახუროდეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის დროებით მოწესრიგებას და არა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუმცა დროებითი განჩინებით ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების, როგორც უკიდურესი გამონაკლისი შემთხვევის დროს უნდა არსებობდეს მყარი წინაპირობები, ალბათობა იმისა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება და ამასთან, დროებითი განჩინების მიღების გარეშე სასამართლოს მეშვეობით დაცული უფლების რეალიზაცია შეუძლებელია იქნება ან მნიშვნელოვნად გართულდება იგი. შესაბამისად, ამგვარი საკითხის გადაწყვეტისას, პირველ რიგში შეფასება უნდა მიეცეს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს, დავის საგანს და სხვა არსებით კომპონენტებს (უზრუნველყოფის ღონისძიების ადექვატურობა, კავშირი დავის საგანთან და ა.შ.), რომლის ფარგლებშიც სასამართლომ უნდა მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ხასიათის უზრუნველყოფის ღონისძიების, ასევე დროებითი განჩინების გამოყენების ეტაპზე სასამართლოსათვის ჩამოყალიბებული ვარაუდი გავლენას არ ახდენს შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე, რომელიც უკვე არსებითი განხილვის შედეგია. დროებითი განჩინების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის აღსრულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, არსებობს თუ არა სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების ვარაუდი, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედაზე გავლენას ვერ ახდენს.

სასამართლო მოიხმობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც დამკვიდრებული აქვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის საოქმო ჩანაწერში N1/13/1516 სარჩელზე აღნიშნულია შემდეგი:

„ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმატიულ აქტს შეუძლია თუ არა რომელიმე მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგის გამოწვევა ისევე, როგორც, თუ რას წარმოადგენს „გამოუსწორებელი შედეგი“, უნდა დადგინდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების შეფასების საფუძველზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის №1/1/592 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს სადავო ნორმის მოქმედებით მოსარჩელე მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგის დადგომის შესაძლებლობა.

4. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების თანახმად, საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს მიენიჭა იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დადგენის უფლებამოსილება. ამასთან, ამ წესით, შეიძლება, განისაზღვროს შესაბამისი საკარანტინო ღონისძიებებიც, რომლებიც, აღნიშნულ შემთხვევაში, ამ წესის ნაწილია. მოსარჩელე მხარე სადავო ნორმიდან მომდინარე გამოუსწორებელი შედეგის დასასაბუთებლად მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სადავო ნორმით უფლებების შეზღუდვის საკითხი სრულად მინდობილია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რაზეც საქართველოს პარლამენტი არ ახორციელებს არანაირ კონტროლს. აღნიშნული კი შეიცავს თვითნებობის და უფლებათა არაპროპორციულად შეზღუდვის მომეტებულ რისკებს. 5. როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების დასასაბუთებლად, ვერ გამოდგება მოსარჩელე მხარის მიერ მხოლოდ ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე არგუმენტაციის წარმოდგენა. მოსარჩელე მხარემ, დამატებით, უნდა წარმოაჩინოს, თუ რაში გამოიხატება სადავო ნორმის მოქმედებით მისთვის გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მხოლოდ „ის ფაქტი, რომ მოსარჩელე მხარის უფლებების შესაძლო დარღვევა ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საოქმო ჩანაწერის მიღებიდან საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე არსებულ პერიოდში თავისთავად ვერ გამოდგება გამოუსწორებელი შედეგის არსებობის დამადასტურებელ გარემოებად. უფლების შესაძლო შეზღუდვა, როგორც წესი, ყველა იმ საქმეზე არსებობს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად იღებს. უფლების შეზღუდვის განგრძობადი ხასიათი არ გულისხმობს, რომ არსებობს სადავო ნორმით გამოუსწორებელი შედეგი. ცხადია,



შეუძლებელია უფლების ნებისმიერი შეზღუდვის სრული ფაქტობრივი გამოსწორება. გამოუსწორებელი შედეგი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ხდება ნორმის მოქმედების შეჩერება, გულისხმობს ისეთ კრიტიკულ შემთხვევებს, როდესაც ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება ნორმით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/8/665,683 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-16). ამდენად, მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ არაკონსტიტუციურია საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს მთავრობისათვის იზოლაციის ან/და კარანტინის წესის, ასევე საკარანტინო ღონისძიებების განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭება, არ არის საკმარისი მოსარჩელეთათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების წარმოსაჩენად. 6. აღსანიშნავია, რომ, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, გაუქმდება საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამინისტროს უფლებამოსილება, დაადგინოს იზოლაციის ან/და კარანტინის წესი და განსაზღვროს შესაბამისი საკარანტინო ღონისძიებები. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, არსებობს სადავო ნორმის საფუძველზე დამდგარი შედეგების აღმოფხვრის სამართლებრივი შესაძლებლობა. მაშასადამე, მოსარჩელე მხარე ვერ ადასტურებს სადავო ნორმიდან მომდინარე გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხეს“.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის N95/6 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების მე-6 მუხლის მე-11 პუნქტზე, რომლის თანახმად, სკოლა ვალდებულია, მაქსიმალური ძალისხმევა გამოიყენოს იმისათვის, რომ სკოლის სივრცეში უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მათი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები არ წარმოადგენს კონკრეტული ღონისძიებისათვის იდენტიფიცირებად და რელევანტურად გამოსაყენებელ საშუალებას. გარდა ამისა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის მოთხოვნები (როგორც სარჩელის, ასევე დროებითი განჩინების გამოყენების) არის ზოგადი ხასიათის, ვერ აკმაყოფილებს განცხადების დაკმაყოფილების და შესაბამისად, დროებითი განჩინების გამოცემის საფუძველს.

სასამართლო იზიარებს შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებას, რომ ბავშვები წარმოადგენს განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს, ხოლო განათლების უფლება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და ეროვნული კანონმდებლობით, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობით, თუმცა საგულისხმოა, რომ საკითხის აქტუალობა უპირობოდ არ წარმოადგენს

მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს. სასწავლო პროცესის სასკოლო სივრცეში დაბრუნება და, შესაბამისად, ბავშვებისათვის უსაფრთხო სასწავლო პროცესის უწყვეტად სასკოლო ოთახებში წარმართვა დაკავშირებულია სწრაფად ცვალებადი ვითარების არსებობასთან, გართულებულ ეპიდემიურ თუ სხვა სახის კრიზისულ ვითარებასთან ადაპტაციის მიზნით გადაწყვეტილების დროულად მიღების აუცილებლობასთან, რაც მუდმივად საჭიროებს ვითარების ადეკვატური ღონისძიებების გატარებას, მათ დაზუსტებასა თუ მოდიფიცირებას. სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეპიდემიური ვითარება მუდმივად იცვლება, სხვადასხვა დინამიკით ხასიათდება, განსხვავებულია გეოგრაფიული არეალების მიხედვით და სასკოლო პროცესის განსხვავებული მართვის საშუალებების გამოყენებას მოითხოვს. შესაბამისად, წინასწარ შემუშავებული გეგმით იმის განსაზღვრა, თუ როდემდე გაგრძელდება სასწავლო პროცესი სასკოლო ოთახებში, მოუწევს თუ არა რაიმე პერიოდის შემდეგ ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალში არსებულ სკოლებს კვლავ დისტანციურ სწავლებაზე დაბრუნება დამოკიდებულია (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეპიდემიური ვითარების დინამიკაზე.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მოცემული ეტაპისათვის მიღებულია სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში გაგრძელების გადაწყვეტილება და დაწყებულია პროცესი, თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ შეიძლება დადგეს რაიმე სახის ზიანი, მას შეუძლია ყოველ კონკრეტულ, ან თუნდაც კონკრეტული სკოლის შემთხვევაში იმსჯელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის დაცვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე და გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. სასამართლო აღნიშნავს, რომ დროებითი განჩინების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვის მომენტში, არ არის დასაბუთებული გამოუსწორებელი შედეგის დადგომის რეალური საფრთხე, ხოლო ასკ-ის 31-ე მუხლზე მითითება უპირობოდ არ წარმოშობს განცხადების დაკმაყოფილების და შესაბამისად, დროებითი განჩინების გამოცემის საფუძველს.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელმა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ შეძლო დროებითი განჩინების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის განმარტებები დროებითი განჩინების გამოყენებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია და განცხადებაში მითითებული განმარტებები ვერ ამართლებენ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების მართებულობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნით, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 31-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და**

## **დაადგინა:**

- 1.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
- 2.** განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა) მხარისათვის მისი ასლის გადაცემიდან 12 დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

**მოსამართლე**

**დიანა ფარქოსაძე**